ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №2022872

ნომერი: AR1327626

თარიღი : 17.07.2015

გაცემის თარიღი : 20.07.2015

გაცნობის თარიღი : 20.07.2015

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა იმერეთი , N 71 ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- გივი ჩოხელი პ/ნ 01019007975
- საქართველო, ქალაქი თბილისი, ტიციან ტაბიძეს ქუჩა, N 39, ბინა 1

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ცვლილება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

ვბრძანებ

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 27.05.2015წ. №1916597 ბრძანებაში ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე
ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 17/07/2015წ. AR1327626 განცხადებით მომართა გივი ჩოხელმა და მოითხოვა 27.05.2015წ. №1916597 ბრძანების

ტექნიკურ–ეკონომიკურ მაჩვენებლებსა და შეთანხმებულ გეგმებში ცვლილებების შეტანა.
სამსახურმა, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად, შეისწავლა საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ 27.05.2015წ. №1916597 ქ. თბილისში, სექტორი ნაძალადევი, იმერეთის ქუჩა N71–ში,კერძო საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკ.კოდი N01.12.11.054.023) შეთანხმდა მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის კორექტირებული არქიტექტურული პროექტი და გაიცა მშენებლობის ნებართვა, რომლის ვადა განისაზღვრა 2015 წლის 28 მაისიდან 2016 წლის 28 მაისის ჩათვლით.
დღეისათვის, განმცხადებელი ითხოვს ბრძანების ტექნიკურ–ეკონომიკური მაჩვენებლების გამოთვლისას დაშვებული შეცდომების გასწორებას, კერძოდ, საერთო, საზაფხულო ფართობის ციფრობრივი მაჩვენებლისა და ბრძანებით შეთანხმებულ გეგმებში არასწორად დაფიქსირებული ფართობების შეცვლას.
სამსახურმა შეისწავლა შესაბამისი დოკუმენტაცია და დაადგინა, რომ განმცხადებლის მიერ წარმოდგენილი შეცვლილი მაჩვენებლები და გეგმები შესაბამისობაშია 27.05.2015წ. №1916597 ბრძანებით შეთანხმებულ არქიტექტურულ პროექტთან. შესაბამისად, განმცხადებლის მოთხოვნა საფუძვლიანია.
ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, სამსახურმა მიზანშეწონილად ჩათვალა დააკმაყოფილოს განმცხადებლის მოთხოვნა და შეიტანოს ცვლილება ადმინისტრაციულ–სამართლებრივ აქტში.
საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის თანახმად, „ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტში ცვლილების ან დამატების შეტანის უფლება აქვს მის გამომცემ ადმინისტრაციულ ორგანოს“.
ვბრძანებ:
1. შევიდეს ცვლილება ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 27.05.2015წ. №1916597 ბრძანებაში და ტექნიკურ–ეკონომიკურ მაჩვენებლებში საერთო ფართობის ციფრობრივ მაჩვენებლად დაფიქსირდეს – 2244,7 კვ.მ.,ხოლო, საზაფხულო ფართობის ციფრობრივ მაჩვენებლად – 218.3 კვ.მ.
2. ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 27.05.2015წ. №1916597 ბრძანებას დაერთოს 17/07/2015წ. AR1327626 განცხადებაზე თანდართული გეგმა–ნახაზები.
3. ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 27.05.2015წ. №1916597 ბრძანება სხვა ნაწილში დარჩეს უცვლელი;
4. წინამდებარე ბრძანება განხილული იქნას ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 27.05.2015წ. №1916597 ბრძანებასთან ერთად;
5. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს კანონით დადგენილი წესით, თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მის.: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლოს ხეივანი, მე–12 კილომეტრი, №6), ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.